1877—1894

# ივერია

№ 8

ოთხშაბათი, 12 იანვარი 1894

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

№ 8

ოთხშაბათი, 12 იანვარი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

„ივერია“
გამოვა 1894 წელსაც
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
სატელეგრაფო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 12 იანვარს
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ქ. საფაროვი-აბაშიძისა, მ. მ. ალ.-მესხიშვილისა, ყიფიანისა და ტუკვაველის მონაწილეობით
ე. ა. ჩერქეზიშვილის
საბენეფისოდ
წარმოდგენილი იქნება:
I
პირველად ახალი პიესა
**ხაფანგი**
დრ. 4 მოქ. და 5 სურ., მეველესი.
II
[illegible]
ვოდ. 1 მოქ., ვ. გუნიასი.
III
დივერტისმენტი
დასასრულ გამართული იქნება
ლ ე კ უ რ ი
ითამაშებენ მებენეფისე ლ. ჩერქეზიშვილისა და აწყურელი.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. საფაროვი-აბაშიძისა, ჩერქეზიშვილისა, მელიქიშვილისა: ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი, ყიფიანი, გუნია, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი და სხ.
დასაწყისი 7 1/2 საათზედ

ვაცნობებ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, რომ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება დანიშნულია ამა 1894 წლის მომავალს მაისის თვეში.
ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი პოდპოლკოვნიკი თავ. ბებუთაშვილი. (3—1)

„მზა-მეტყველება“
თხზ. ანტონ კათალიკოზისა
იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ და „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიებში.
ფასი ორი მანათი და ათი შაური. (5—5)

## ტფილისი, 12 იანვარს

თერთმეტი წელიწადია, რაც იტალია მიემხრო გერმანიასა და ავსტრი-ვენგრიას და ამ მცირე ხანში იტალიის მკვიდრთა კეთილ-დღეობა ძირეულად შეირყა; ქვეყანა გაღარიბდა და დღეს სულს ძლივს-ღა ითქვამს. განდიდების სურვილმა, უზომო შეთოფ-იარაღებამ თვისი მწარე ნაყოფი მოიტანა. მომეტებულ ხარჯს მკვიდრი ვეღარ იტანს, ერს გონება დღებნა, კეთილ-გონიერებამ უღალატა და მღელვარებამ შეიპყრო, ვითარცა ამორბოქებული ზღვა.

მთელის ევროპის ყურადღება ამ ჟამად მიქცეულია იტალიასა და სიცილიის კუნძულისაკენ. სიცილიაში დაწყებული არეულობა იტალიასაც მოედო, და დღე ისე არ დასრულდება, რომ რომელსამე ქალაქში, ან სოფელში აჯანყებულ მკვიდრსა და ჯარს შორის შებრძოლება არ მოხდეს. გამწვავებული მკვიდრი აღარაფერს და აღარავის ინდობს. საკმარისია მცირე მიზეზი, რომ უწესოება მოახდინოს და გული რითმე მოიოხოს. სიცილიაში ერთ ალაგას ხალხმა ხარჯის ამკრეფი შეიპყრო, ნავთი გადაასხა და მერე ცეცხლი წაუკიდა... მრავალნი მოხელენი დაჰხოცა, სახლ-კარი დაუნგრია და ბევრგან ცეცხლი წაუკიდა იმ შენობებს, სადაც მთავრობის დაწესებულებაა მოთავსებული.

მთავრობამ მარტო სიცილიაში სამოცი ათასი ჯარი გაჰგზავნა, შემოიღო სამხედრო წესები და ამ სახით სცდილობს როგორმე ჩააქროს აღგზნებული ცეცხლი რევოლიუციისა.

„იტალიას გადაეფარა შავი ღრუბელი და მისი მონაბერი ხულს გვიხუთავს, სისხლს გვიყინავს; არ ვიცი, ესე ყველა რის მომასწავებელია, ხოლო იტალიას რომ დიდი უბედურება მოელის, ეს-კი ცხადია“. ამ სიტყვებით მიმართა ტურინის უნივერსიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობას გამოჩენილმა მეცნიერმა და პროფესორმა ლომბროზომ და ამის ერთ უმთავრეს მიზეზად დაასახელა სამხედროდ მზადება, მილიტარიზმი, რომელიც ჰღუპავს იტალიას.

მართლაც, სამხედრო ხარჯმა იტალიაში მეტის-მეტად იმატა ამ ათის წლის განმავლობაში. 1882 წელს იტალიას ემართა რვა მილიარდი ლირა, წელს-კი იტალიის ვალი თორმეტი მილიარდია. წელიწადში იტალია ჰხარჯავდა სამხედრო საჭიროებისთვის 293 მილიონ ლირას, ამ ჟამად-კი ჰხარჯავს 347 მილიონს, ხან 445 მილიონსაც.

სამხედრო ხარჯი და ხალხის გადასახადი ჰმატულობს, მრეწველობა და ვაჭრობა-კი თან-და-თან უკან მიდის. ამ უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში იტალიას უცხოეთიდგან შემოჰქონდა საქონელი ას-ოც მილიონ ლირაზედ ნაკლები, ვიდრე წინად და თითქმის ორას მილიონით ნაკლებად ღირებული საქონელი გაჰქონდა საზღვარ-გარედ.

ეკონომიური მდგომარეობა სიცილიისა უფრო სამწუხაროა, ვიდრე თვით იტალიისა. მთელი კუნძული ეკუთვნის რამდენსამე მდიდარ მემამულეს, რომელნიც თვითონ ყურს არ უგდებენ მამულს, ჰყოფენ დიდრონ ნაჭრებად და იჯარით აძლევენ მეიჯარადრეებს. ესენიც ისევე იქცევიან, როგორც მამულის პატრონები: ჰყოფენ უფრო წვრილ ნაჭრებად და სხვა იჯარადრეებს აძლევენ. ასე რომ ვიდრე გლეხამდე მივა მამული, ხუთისა და ექვსის იჯარადრის ხელში უნდა გაიაროს. რაღა თქმა უნდა, ყველა გამორჩენას ელის და ეს გამორჩენა-კი მარტო მხვნელ-მთესველმა უნდა გაიღოს. მამულიც იმდენს რას მისცემს, რომ ყველა დააკმაყოფილოს, სახელმწიფო გარდასახადი გაისტუმროს და თვითონ მხვნელ-მთესველიც გამოჰკვებოს. გლეხს იმო-[illegible] სი გათვალისწინება. ზოგის გადასახადის სახელები არც-კია უცხო ენაზედ. მებატონეებსა და იჯარადრებს რომ მორჩება, უნდა გაისტუმროს მიწის გადასახადი, რომელიც თითქმის შემოსავლის მეხუთედს უდრის; შემდეგ რაღაც ცენზოა, ტერრი-ზუოლა, სფრიდი, კუკცია, დირიტტო, დელ გალეტტო და სხვა მრავალი.

სახელმწიფოს ხარჯს ქუჩაში მოწანწალე უბინადრო კაცუნა-კი იხდის. მხოლოდ მაშინ ათავისუფლებენ ხარჯისაგან, თუ თავ-შესაფარი არა აქვს და ცის ქვეშა სძინავს. მინგრეულ-მონგრეული ქოხიც რომ გქონდეს, თუ-კი ბუხარი აქვს იმ ქოხს, კომლის ხარჯი უნდა იხადო, წელიწადში 20—29 ლირა, თითქმის თუმანი და თუმან-ნახევარი, ჩვენის კურსის მიხედვით რომ ვიანგარიშოთ.

ნაკლებად არ არიან შევიწროებულნი სიცილიაში მადნებში მომუშავენი; ამასთანავე სოფლის მკვიდრიც და მადნის მუშაც გაუნათლებელია, წერა-კითხვის უცოდინარი, ცრუ მორწმუნე და ფიცხის გულის პატრონი, როგორც საზოგადოდ სამხრეთის ყველა მკვიდრი.

ამ ორი-სამის წლის წინად სიცილიაში დაარსდა რამდენიმე ამხანაგობა, რომელსაც დაარქვეს ფასცი. ამხანაგობას აზრადა ჰქონდა გაეუმჯობესებინა თავის წევრთა მდგომარეობა და სრულიად არ მისდევდა პოლიტიკას. პირველში აგრე რიგად არა ძლიერდებოდა ამხანაგობანი, მაგრამ ამ ბოლოს დროს მათი რიცხვი უკვე ასულა ას სამოცდა-ორამდე და მთელს კუნძულს მოეფინა. ფასცის მუშათა გარდა სხვებიც მიემხრნენ: სამღვდელოება, სტუდენტები, ღარიბი მოხელეობა, მოქალაქენი და, ასე გასინჯეთ, დეპუტატნიც. მათის წყალობით ამხანაგობამ ისეთი სამაგალითო წესი დაამყარა თავიანთ წევრთა შორის, ისეთი დისციპლინა შემოიღო, რომ მრავალ წევრიანი ამხანაგობა ისე ჰმოქმედობს, როგორც ერთი კაცი. სწორედ ესაა მიზეზი, რომ მთავრობას უძნელდება მათთან ბრძოლა.

ასეთ უკიდურესს მდგომარეობაში ჩააგდო იტალიის ერი მილიტარიზმმა და განდიდების სურვილმა *).

ისკანდერ

*) აქ მოყვანილი [illegible] გაზეთ Рус. Вѣд. №№ 334, 339 და 352 და ჟურნალ Р. М. № 12 წარსულის წლისა.

# ფელეტონი

## მოგზაურობა

სამეურნეო წარმოების შესასწავლად ქუთაისის გუბერნიაში.

ექსპედიციაში იყო ოთხი კაცი კავკასიაში საუფლისწულო მამულების ინსპექტორი კლინგენი, სახაზინო სააზნაურო ბანკის დამფასებელი აგრონომი კოფოკი, მესამე აგრონომი აფიცერი სიმენსონი და მე. ეს ექსპედიცია იყო კლინგენის მიერ შედგენილი. მისივე წინადადება იყო, რომ მინამ გავემგზავრებოდე საზღვარ გარედ, გავიცნოთ დასავლეთ საქართველოში სამეურნეო წარმოება ძველად, თუ ეხლა მასთან იქაური ადგილ-მდებარეობა და ჰაერიო, რადგანაც საუფლისწულო დეპარტამენტი ჰფიქრობს დასავლეთ საქართველოში დაიწყოს სხვა-და-სხვა სამეურნეო წარმოება, რომელიც დიდს სარგებლობას მოუტანს, არა თუ ჩვენს მხარეს, არამედ მთელს რუსეთს. ამისათვის ჯერ პირველად საჭირო იყო შეესწავლა კარგად ჩვენის ქვეყნის ბუნება და შეემზადებინა იმ თბილ ქვეყნებისათვის, სადაც მოჰყავთ ჩაი, ქაღალდის და სხვა-და-სხვა ხეები, გამოსადეგი ქარხნებისათვის, წამლის, ლაქის, ქინაქინისა და ქაფურის ხეები, ბამბუკი, შაქრის სორგო და სხვანი და მერე ამ ნაირად მომზადებული წასულიყო აქედგან საზღვარ გარედ ახალის ექსპედიციით, რომელშიაც უნდა იყვნენ კლინგენის ზედამხედველობით, ერთი პროფესორი, ორი აგრონომი, ერთი ექიმი (ჰიგიენის შესასწავლად) და ერთიც ნასწავლი მებაღე.

ყველა ესენი საზღვარ გარედ სხვა-და-სხვა ქვეყნებში დაჰყოფენ ერთ წელიწადსა და რამდენსამე თვეს; შემდეგ სრულიად მომზადებულნი და გაცნობილი იქაურის მეურნეობისა დაბრუნდებიან ჩვენში და, რაც უფრო სასარგებლო იქნება ხალხისათვის, იმის გავრცელებას დაიწყებენ.

ქუთაისიდგან ჩვენ გავემგზავრეთ 23 ოქტომბერს, საღამოზედ ჩამოვედით ხონში. დავიბარეთ იქაური მამასახლისი, რომ დილით ადრე ცხენები გვყოლოდა. სხვათა შორის, მამასახლისს ვკითხეთ ამბავი ხონის მეურნეობისა და სხვა ნაწარმოებისა. მან გვიამბო, რომ სიმინდი, ღომი და სხვა ამ გვარი მოგვყავს, მაგრამ, რადგანაც ხონში დიდი ქარი იცის და მასთან მიწაც, როგორც სხვა ქვეყნებში ისე მომცემიანი არ არის, ამისათვის ჭირნახული ცოტა მოდის, მაგრამ აქაური ხალხი ძალიან მუშა და გამრჯე ხალხია და მარტო მიწის მოსავალს არ უყურებს. აქ მოჰყავთ თითქმის ყველა ოჯახს ყაჭი, აკეთებენ დარაიებს, მასთან შალის საჩოხებს და სხვა ამ გვარს ნაწარმოებს გამოაქვთ პარასკევობით ხონის ბაზრობაზედ, ჰყიდიან და საკმაოდ კარგად სცხოვრობენ. ხოლო რაც შეეხება აბრეშუმის მოყვანას წინა წლებში ბევრი მოდიოდა, მაგრამ შემდეგ ჭიის თესლის ავადმყოფობის გამო ხალხი ერთ დროს ნაკლულებაში ჩავარდა; მაგალითებრ, მე კარგი შეძლებული გლეხი გახლავართ, მაგრამ ორის წლის ზარალმა ყაჭის მოუსავლობის მიზეზით ცოტა არ იყოს ამ საქმეზედ გული ამიცრუა; გამოვიწერე რამდენისამე წლის წინად ტფილისიდგან ყაჭის თესლი, შევუდექი საქმეს, სრულიად დაიმედებული, რომ ბლომად მომივა აბრეშუმი და ამისათვის ჩემის თუთის ხეების გარდა ხუთის თუმნის თუთის ფურცელი კიდევ ვიყიდე, მაგრამ თესლი უვარგისი აღმოჩნდა, ავადმყოფობა გაუჩნდა და სულერთიანად გაწყდა; ასევე მომივიდა შემდეგ წელშიცაო, მაგრამ შარშან და წრეულს ვიღაც სომხებმა დაგვირიგეს თესლი და აბრეშუმიც ბლომად მოგვივიდა, მხოლოდ ჩვენი სამწუხარო ის არის, რომ თუთის ხეები არ არის საკმაო. თუმცა ვრგავთ ახლა, მაგრამ როდის-ღა მოგვესწრება.

ჭიის საკვების ნაკლებობის შესახებ ბ-ნმა შარაშანიძემაც გვიამბო. ეს შარაშანიძე ძალიან დაკვირვებული კაცი ყოფილა, მიუქცევია ყურადღება ყოველ გვარ წარმოებისათვის და ის აზრი დაუსკვნია, რომ უთუოდ საჭიროა, სოფლის მომავალი მეოჯახე ქალები ცოტა უფრო მცოდნენი იყვნენ და შეგნებულნი შინაწარმოებისა: ამისათვის, რაც შეიძლებოდა, თავის ღონის-ძიება არა დაუზოგავს-რა და დაუარსებია ხონში დედათა მოსამზადებელი სკოლა; ეს სკოლა რამდენიმე წელიწადია, რაც არსებობს თვით შარაშანიძის ოჯახში; მას ჰყავს აქ მასწავლებლე-

# ახალი ამბავი

⁂ დღეს, ოთხშაბათს, 12 იანვარს, ქართულს თეატრში დანიშნულია წარმოდგენა. გამართული იქმნება ბენეფისი ამ თეატრის არტისტის ე. ჩერქეზიშვილის ასულისა, რომელიც სულ რამდენიმე წელიწადია მხოლოდ რაც ქართულს სცენაზედ ჰმოღვაწეობს და ამ ხნის განმავლობაშიაც დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება თავის კეთილ-სინიდისიერისა და გულ-მოდგინე შრომითა და ნიჭით. ამ ახალგაზდა ქალს ერთი ფრიად კარგი ღირსება აქვს, რომელიც ყველა შეამჩნევდა, ვისაც-კი რამდენჯერმე მაინც უნახავს იგი სცენაზედ. სულ პაწია უმნიშვნელო როლებსაც-კი ნიჭის ელ-ფერს დასდებს ხოლმე, ხასიათს დაატყობს და შესამჩნეველს გახდის.

ე. ლ. ჩერქეზიშვილის ასული ნიჭიერად თამაშობს მოხუც ქალების როლს ქართულის ცხოვრების პიესებში, იმდენად ნიჭიერად, რომ ჩვენს სცენას ამ როლების აღმასრულებელი უკეთესი არა ჰყოლია ამ ათის-თორმეტის წლის განმავლობაში.

მებენეფისეს თავის საბენეფისოდ ამოურჩევია ახალი პიესა „ხაფანგი“, ოთხ-მოქმედებიანი და ხუთ-სურათიანი დრამა მეველესი, აღმნიშვნელი ჩვენის ცხოვრებისა. პიესის ავ-კარგიანობაზედ ჯერ-ჯერობით ვერაფერს ვიტყვით; ამას გარდა წარმოსადგენად დანიშნულია პაწია ვოდევილი „ადვოკატთან“, რომელშიაც თვით მებენეფისე ისე ლამაზად თამაშობს კაპასის დედაკაცის როლს.

დასასრულ გამართული იქნება დივერტისმენტი და ლეკური. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ ქართულის სცენის საუკეთესო არტისტი-საფაროვის ასული, მელიქიშვილისა, ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი, ყიფიანი, ტყვიაველი, გუნია, გედევანოვი, აწყურელი, კანდელაკი, შათირიშვილი და სხ.

⁂ ორშაბათს, 10 იანვარს, კრება ჰქონდა ქალაქის საბჭოს. კრებამ განიხილა სარჩიელი გამგეობისა მასზედ, რომ 35000 მანეთი იქმნას გადადებული ავჭალის მილის წყალის საჭიროებათათვის და საგურამოს წყაროების გამოსაკვლევად. ხმოსანმა ხუდადოვმა ცხარე კამათობა გაუწია გამგეობას ამ მოხსენების გამო და ურჩია საბჭოს, მაგოდენა ფულს ნუ ჩაჰლუპავ ავჭალის წყალზედაო, მით უმეტეს, რომ თვით გამგეობავე ითხოვს ფულს გამოსაძიებლად საგურამოს წყაროებისა, რაიცა იმის ნიშანია, რომ უკეთუ საგურამოში სასურველი წყალი აღმოჩნდა, მერე თავი უნდა დავანებოთ ავჭალის წყალსა და მაშასადამე, ეგ ფული ტყუილად იქმნება გადაყრილიო. შემდეგ ხანგრძლივის ბაასისა, საბჭომ მიიღო წინადადება გამგეობისა მხოლოდ იმ პირობით, რომ ახალი წყალი მარტო საგურამოში-კი არა ძებნონ, არამედ ყველგან, საცა-კი ტფილისის მიდამოებში აღმოჩნდეს რიგიანი წყალიო. მეორე საყურადღებო საგანი კრებისა იყო არჩევა საბჭოს მდივნისა. ამ საგანმა შეჰყარა დიდძალი გარეშე მაყურებელი საბჭოს დარბაზის აივანზედ და თვით ხმოსანნიც ძრიელ ბლომად დაესწრნენ. დასახელებულნი იყვნენ ათამდე კანდიდატნი და ამათ'ში ყუთი დაიდგა შემდეგმა ხუთმა, რომელთაც უმეტესი ხმა ამოუვიდათ: ბ-ნმა ლისიციანცმა დასახელებულმა 25 ხმით, ჰრელაშვილმა, დასახელებულმა 13 ხმით, იოანისიანმა, დასტკიანმა და ტიგრანიანმა რომელნიც დასახელებულ იყვნენ მცირე ხმით. შედეგი კენჭის ჩამოტარების იყო ასეთი: ლისიციანცმა მიიღო 34 თეთრი და 29 შავი და ჰრელაშვილმა 33 თეთრი და 30 შავი, დანარჩენთ ამოუვიდათ ოც კენჭზედ ნაკლები თეთრი. ამ სახით საბჭომ აირჩია მდივნათ ბ-ნი ლისიციანცი ორის წლის ვადით. ქახდარაზედ დიდი [illegible] ჩამოვარდა ამა ამრჩევის გამო. კრება დაიშალა ღამის 12 საათის ნახევარზედ.

⁂ 9 იანვარს სახალხო და საფოსტო მატარებელმა დაიგვიანა მთელი ორი საათი. მიზეზი ამისი ის იყო, რომ ერთის ვაგონის თვლებს სალტა შემოხსნოდა სწორედ იმ დროს, როცა მატარებელი ქარელიდამ გამოვიდა და გორისკენ გაემართა. უცებ გზაში ვაგონებს ჯახანი გახვდათ· მემაშინემ გააჩერა მატარებელი, დაუარა ვაგონებს და იპოვნა ის ვაგონი, რომლის თვლებიც გაფუჭებული იყო. მატარებელი ნელ-ნელა ჩამოიყვანა სკრას, აქ ვაგონი გამოსცვალეს და უხიფათოდ წამოვიდა შემდეგ ტფილისს.

ამავე მატარებლით ჩაატარეს სპარსეთში გასაგზავნად ასი ფუთი ვერცხლი, რომელსაც ორი ჟანდარმი მოსდევდა თან.

⁂ ლანჩხუთი: ამბობენ, რომ ფირალ მიქელაიშვილის გვამი ამოუღიათ საფლავიდამ და წაუღიათ. მის გვამის მაგიერ საფლავში ჯირკი ჩაუმარხნიათ. არ იციან, ვინ მოიქმედა ასეთი საქმე: ჰირისუფლებმა თუ ყაჩაღის ამხანაგებმა.

⁂ სოფ. მუხურა (შორაპნის მაზრა): პირველ იანვარს აქ საშინელი საცოდაობა დატრიალდა: კონსტანტინე აბესაძის ცხრა წლის ყმაწვილი მოჰკლა უეცრად თოფმა. თოფი კედლიდგან ძირს ჩამოეღო, უეცრად ხელიდგან გავარდნოდა ტახტზე. თოფი გავარდა და საცოდავს ტყვია შიგ მუცელ'ში მოხვდა; დიდ-ხანს აღარ უცოცხლია. საბრალო, დედ-მამის ერთა იყო, იმისი მშობლების საცოდაობით ქვაც-კი ატირდებოდა.

⁂ იქიდგანვე: წელს მუხურელებს ის დღე ადგიათ, რაც შარშან: მოსავალი წელსაც ძალიან ცუდი იყო. შარშან საკვები არა გვქონდა საქონლისთვის. წელსაც, თუმცა ნაკლებადა გვაქვს საკვები, მაგრამ საქონელი-კი აღარა გვყავს. გაჩნდნენ ჩვენშიაც ქურდ-ბაცაცები და ქვეყანაზედ არა შეგვარჩინეს·რა. ქურდობა უფრო გაძლიერებულია სოფლის ერთ მხარეს, ეგრედ წოდებულ საკვირაოს უბანში. დღე და კვირე არ იქნება, [illegible] ორმოცამდე დაკარგულა: ცხენი, ხარი, ძროხა, და ცხვარს, გოჭს და ქათამ-ინდაურს ხომ რიცხვი აღარა აქვს.

საქონელს, რომ მოიპარვენ, ჩუმად გაატყავებენ, ტყავს პატრონის ეზოს კარებზე დაჰკიდებენ, ამით აცნობებენ, რომ შენ საქონელზე ხელაღებული ხარ სამუდამოდ და ტყუილად ნუ ეძებო.

ასეთს ცუდს მდგომარეობაში ვართ ამ ვაჟბატონებისაგან. ხალხი ამბობს, ვიცით, ვინც არიან ქურდები, მაგრამ, რომ გავამხილოთ, გადაგვწვამენო.

⁂ თავისუფალი (ზემო) სვანეთი: ამას წინად ს. მესტიაში ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა: მელახსან ჯაფარიძემ ღამით დასჭრა ხანჯლით ორი კაცი, ერთი მაშინვე გარდაიცვალა, ხოლო მეორეს მორჩენაზედ ეჭვი აქვთ...

ხალხმა დასტოვა სახლ-კარი და გაიფანტ-გამოიფანტა იქით-აქეთ სამუშაოდ. თოვლი აქეთ დიდი მოვიდა.

⁂ „Новое Время“-ს გაუგონია, სამხედრო სამინისტროს წინადადება იმის შესახებ, რომ ყმაწვილ კაცებს სამხედრო ბეგარა გარდახდეთ უნივერსიტეტში შესვლამდე, აზრად აქვთ იმ გვარად გარდასწყვიტონ, რომ სამხედრო ბეგრის გადახდა დაეკისრონ უმაღლესს სასწავლებელში შესვლამდე მხოლოდ იმათ, რომელთაც 20 წელი შესრულებიათ საშუალო სასწავლებლების დამთავრებამდეო.

⁂ გაზ. „Руская Жизнь“-ის სიტყვით, მთავრობას გადაუწყვეტია ამერიკის ვაზის მოშენება სცადონ. ამ აზრით ამ რამდენისამე თვის განმავლობაში ქუთაისის გუბერნიის სოფ. საქარასა და სვირში 10,000 ამერიკის ვაზია, დარგული.

## დამაკვირდი

წკეპლისაგან სხვა სიკეთე არა მინახავს-რა, იმის მეტი, რომ იგი ან ასუსტებს და აფრთხობს ადამიანის სულსა და გულს, ან აბოროტებს და აჯიუტებს.

მონტენი

**

ის, რასაც ჩვენ მართლ-მსაჯულებას ვეძახით, ხშირად მხოლოდ დაკანონებული უსამართლობაა.

დე-ბონნი

**

ვისაც უნდა ღირსეულად დასწეროს ისტორია, მან თავისი სარწმუნოებაც უნდა დაივიწყოს, თავისი სამშობლოც და ის დასიც, რომლის მომხრეც არის.

ბუასტი

## ნაწყვეტი

ნუ ჰგმინავ, ლომო ტყვედ ქმნილო,
ნუ გაგტეხია გულია,
აღზდექ, გასწორდი წელშია,
ვით ალვა ედემს რგულია,
დალეწე მტრისა ბორკილი,
დუშმანს გაუფთხე სულია,
და დაიბრუნე დიდება.
ღალატით დაკარგულია.

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის შემწეობით მადლობა გამოუცხადო მისს უგანათლებულესობას კნეინა ელენე გრუზინსკისას, რომელმაც შემოსწირა, მამა დავითის საეკლესიო დედათა სასწავლებლის წიგნთ-საცავს რამდენიმე საკითხავი წიგნი. ამასთანავე მადლობას უძღვნი ქართველთ ამხანაგობის გამგეობას, ოცდა ორის საუკეთესო და ყველა ჩვენი მწერლების თხზულებების შემოწირვისთვის. იმედი გვაქვს საზოგადოება მიჰბაძავს ამ კეთილს მაგალითს და ამოგვიჩენს დახმარებას ამ ახლად დაარსებულ წიგნთ-საცავისათვის. მივმართავთ ამავე სასწავლებლის საპატიო მზრუნველის კნეინა ალექსანდრე მელიქიშვილის მაგიერათ უმორჩილესის თხოვნით გაზეთებს, რომ დახმარება გაუწიონ ხსენებულ დედათა სკოლის წიგნთ-საცავს და თითო ეგზემპლიარი თავისის გაზეთისა მოგვაწოდონ.

კნიაჟნა ნინო თარხნიშვილისა.

### II

ბატონო რედაქტორო!

დღევანდელ „ივერიის“ ნომერში, № 7, წერილში „წლიური კრება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრთა“ სწერია:

„რადგან გამგეობას არ გაუსინჯავს ეს მოხსენება (ე. ი. სარევიზიო კომისიის მოხსენება) ამიტომ შეუძლებელია მისი წაკითხვაო“. სარევიზიო კომისიის ერთმა წევრთაგანმა, ბ-ნმა რცხილაძემ, [illegible] წაკითხულიყო, ეხლავე, მაგრამ კრებამ გარდასწყვიტა, ჯერ გამგეობამ განიხილოს მოხსენება და მერე წარმოუდგინოს საგანგებოდ მოწვეულს კრებასაო“.

ეს ასე იყო:

სარევიზიო კომისიის მოხსენების წაკითხვა-კი არ ვითხოვე, მე ვითხოვე თავმჯდომარეს, წაეკითხათ ის ქაღალდი, რომელიც იყო კომისიის ორი წევრისგან ხელმოწერილი და ხსნიდა მიზეზს, რითაც წარუდგინა გამგეობას სარევიზიო კომისიის მოხსენება 9 იანვარს და არა მაშინ, როცა წარდგენის დრო იყო და წარსადგენად მზადაც იყო ეს მოხსენება. საზოგადო კრებამ ეს ჩვენი

---

ბი და ძალიან კარგად და რიგიანად ამზადებენ მომავალს მეოჯახე დედებს. ამ სკოლას შემდეგ მთავრობამაც მიაქცია ყურადღება და ცოტ-ცოტა შემწეობასაც აძლევს; აგრეთვე, რაკი დაინახა ხონის საზოგადოებამ, რომ ამ გვარი სკოლა დიდად სასარგებლოა, ეწევა ისიც ცოტ-ცოტას. ეს პატიოსანი მოღვაწე ბ-ნი შარაშანიძე ეხლაც მუშაობს ამ სკოლის ბედ-იღბლისათვის დღე და ღამ და იმდენი მოუხერხებია, რომ სკოლისათვის ქვითკირის სახლის აგებას ჰფიქრობს.

კიდევაც შესდგომიან ამ საქმეს და ეხლა დაუწყიათ შენება სკოლის სახლისა. ბ-ნმა შარაშანიძემ გვიჩვენ პატარა ქალების მოყვანილი ყაჭის პარკები, აბრეშუმი და შენახული ყაჭის თესლიც. შემიძლია თამამად ვსთქვა, რომ ძალიან კარგად და რიგიანად უმუშავნიათ და ამ საგანს კარგად ისწავლიან; აქ რომ ეს პატარა ქალები, აბრეშუმის ყაჭის მოვლას კარგად შეის[illegible]ვლიან, მიდიან თავიანთ სახლში, [illegible]ეხმარებიან თავიანთ დედებს, ნა[illegible]ესავებს და მთელს სოფელს და მ[illegible]თ თან-და-თან უმჯობესდება აბრ[illegible]შუმის წარმოება, მხოლოდ თუ[illegible]ის სინაკლულე, მანამ გაამრავლ[illegible]ნენ, ცოტათი გაუჭირებს საქმეს. [illegible]მისათვის შემიძლია ერთი რჩევა მივსცე ხონელებს. წელს მარტის დამლევს მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა ტიხომიროვმა, მოსკოვის საპოლიტეხნიკო მუზეიში წაიკითხა რეფერატი შესახებ აბრეშუმის მოყვანისა და გვიჩვენა პარკი, მისგან გამოკვებული ბალახით; ეს პარკი მე თითონ ვნახე და ძალიან კარგი პარკი იყო. ბალახი თითონ დაუთესინებია მოსკოვის საბრეშუმო საცდელ სადგურის ბაღში. ბ-ნ პროფესორს ორი წელიწადია რაც უცდია ეს საქმე და ეხლა სრულიად დარწმუნებულა, რომ შეიძლება ამ ბალახით ძალიან კარგად გამოიკვებოს ყაჭის ჭია იქ, სადაც ნაკლებია თუთის ხეები. გვიჩვენა მისი ნაშრომი და წაგვიკითხა კიდეც, როგორ მოიქცა. ამ მცენარის სახელი დამავიწყდა, რადგანაც ლათინური სახელი დაარქვა ბ-ნმა ტიხომიროვმა. მე და ლათინური კი დიდი ხანია აშლილები ვართ და ადვილად ვივიწყებ ხოლმე ყველა ლათინურს სახელს; სულაც რომ არ იყოს ეგ ენა, უფრო მიამება, იმდენი შხამი მაქვს მოგროვილი იმაზედ გულში. ეს მცენარე ჰგავს წითელის მხალის ფოთოლს, თუმცა უფრო მომცრო ფოთოლი იცის. თესლი ამ მცენარისა შეიძლება გამოიწერონ მოსკოვიდგან იმმერისაგან. ეს არის ერთ წლიური მცენარე, საფრთხილოა გზის ახლოს დათესვა, ანუ იმისთანა ადგილას, სადაც მტვერი დაედება ფოთლებს, მტვერიანი და უსუფთაო ფოთოლი ჭიას თუ აჭამეს საშიშოა, რომ სნეულება არ გაუჩნდეს. ამ მცენარის თესლს, თუ გამოიწერენ, თუ გინდ თვით შარაშანიძე და სინჯავენ არ იქმნება უსარგებლო, შეიძლება მანამ ბლომად თუთის ხეები მოშენდებოდეს პროფესორ ტიხომიროვის ორი წლის ნაცადი გამოგვადგეს.

აქვე ხონში ვინახულეთ ხონის სემინარია; სემინარიის დირექტორმა ყოველივე გვიჩვენა; დაგვატარა ბაღი სემინარიის დაარსების შემდეგ მოშენებული, თუმცა ჯერ მაინცა და მაინც არა ითქმის რა ამ ბაღზე, მაგრამ შეიძლება მომავალში კარგი იყოს. აქ ვნახეთ ერთი აქაური მასწავლებელი ბ ნი პეტროვი, რომელსაც ძალიან დაკვირვებით შეუსწავლია თვით ხონი და ახლო-მახლო მდებარე სოფლები და რომელმაც ბევრი გამოსადეგი ცნობა გადმოგვცა. ბ-ნმა დირექტორმა გვიჩვენა ფარდული გაკეთებული სამეტეოროლოგიო დაკვირვებისათვის და გვითხრა, რომ სამეტეოროლოგიო დაკვირვებას აქ ძალიან მივსდევთ; გვიჩვენა ის ფარდულიც, სადაც ტერმომეტრია სიცივ-სითბოს შესამოწმებლად. იქვე ფარდულზედ მიუკრავს ორი დიდი ფარანი, რომ ღამის ცხრა საათზე უფრო ადვილად ჰნახონ, რამდენი გრადუსია სითბო. ეს საქმე ბეჯითად საჭიროა. სამეტეოროლოგიო დაკვირვება ბევრ ნაირად საჭიროა და გამოსადეგი, ხოლო წარმოიდგინეთ, რამდენად ნამდვილი იქმნება გამოკვლევა იქ, საცა ორი ფარანი ახლოს უნთია ტერმომეტრს. მის სითბოს სულ ცოტა, შეუძლია რვა გრადუსამდე ასწიოს სითბო ტერმომეტრში და ამ ნაირად შეცდომა მოხდეს დაკვირვებაში. ჩემის ფიქრით, ასე საქმის დაჭერა მოუხერხებელია.

შემდეგ ამისა აქაურმა ხონის მაზრის ბოქაულმა ბ-ნმა ტატიშვილმა მიგვიწვია საუზმედ. ქართველმა კაცმა პატივი გვცა ქართულად. რაც საჭირო ცნობა იყო ჩვენთვის, ყოველივე გადმოგვცა მისის საბოქაულოს შესახებ და ამ ნაირად გაგვამგზავრა მარტვილისაკენ.

გიორგი ჩიჩუა

(შემდეგი იქნება)

თხოვნა (სარევიზიო კომისიის მეორე წევრიც ბ. დათუშიძე თანხმა იყო ამ თხოვნისა) უარ-კი არა ჰყო, მიიღო და კიდეც მოისმინა ზემო აღნიშნული მიზეზი მდივნისაგან წაკითხული.

ახლად ანგარიშის შემდგენელი იმ დროს კრებაზედ არა ყოფილა, ან ვერ გაუგონია, რაც ითქვა.

ვ. რცხილაძე

11 იანვარი 1894 წ.

## წერილი ხარკოვიდგან.

წელს ახალ-წლის მიგებებას ქართველ სტუდენტობის მიერ განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა ორის მიზეზისა გამო: 1, ჩვენ მოგვივიდა მეტად საყურადღებო წერილი, და 2, ვეთხოვებოდით ერთ ამხანაგთაგანს, რომელმაც დაამთავრა კურსი სამკურნალო ფაკულტეტისა და ნიემგზავრება ახლა სამშობლოსკენ. სწორედ ღამის 12 საათზედ 31 ქრისტიშობისთვეს შემოუსხდა ამხანაგობა სუფრას, რომელზედაც ლაზათიანად მოხარშულ ბეჰს ასდიოდა ოშხივარი და იდგა რამდენიმე ბოთლი ღვინო.

ახალწელიწადს მევეგებეთ მიღებულ წერილის წაკითხვით. წერილმა გამოიწვია სასიამოვნო ბაასი. როცა ეს ბაასი გათავდა, ამხანაგობამ ძმურის გადაკოცნით მიულოცა ურთიერთს ახალი წელიწადი და თან ამოირჩია თამადა. შემდეგ ერთმა ამხანაგობის წევრმა წაიკითხა რეფერატი იმის შესახებ, თუ რა გვაერთებს ჩვენ, ქართველ სტუდენტებს, რა მისწრაფებანი და გრძნობანი აღელვებენ ჩვენს არსებას. რეფერატში მოკლედ, მაგრამ ნათლად იყო გამოხატული ის ცუდი მდგომარეობა, რომელშიაც იყო ჩავარდნილი ხარკოვის უნივერსიტეტის ქართველ ამხანაგობის წრე და რა ხასიათი დაედო მას ამ უკანასკნელ დროს.

თამადამ ადღეგრძელა ჩვენის ქვეყნის დღევანდელი მოღვაწენი. რამდენმამე სტუდენტმა წარმოსთქვა მოკლე სიტყვა და თან მოჰყავდა უკეთესი ადგილები ჩვენის პოეტების თხზულებათაგან. მოიგონეს აგრეთვე ჩვენი წარსულნი მოღვაწენი; როდესაც განსვენებულ ალ. მოჩხუბარიძის სახელი იქმნა ხსენებული, მთელს ამხანაგობას ელექტრონის მგზავსმა ძალმა დაუარა. ყველანი ფეხზედ წამოდგნენ... თამადამ მოკლედ მოიხსენია განსვენებულის მოღვაწეობა, გარდასცა ამხანაგობას ის ფიქრი და გრძნობა, რომელიც თვითონ გამოეცადნა განსვენებულის თხზულებათა კითხვის დროს დ ბოლოს სთხოვა ამხანაგობას, თუმცა ეს სრულიად არ შეჰფერის დღევანდელს დღესაო, [illegible] ბაო". ამხანაგობამ იგალობა ისეთის გრძნობით, რომ ბევრს გადმოსცვივდა მწუხარების ცრემლი. ჩამოვარდა სიჩუმე, რომლის დარღვევას დიდხანს ვერავინ ჰბედავდა და არც არავის უნდოდა; იმ წუთს ყველას ერთი და იგივე გრძნობა აღელვებდა. კარგა ხნის შემდეგ ამხანაგობა გამოვიდა თავ-დავიწყებიდგან და სუფრაზედ გამეფდა ჩვეულებრივი ხალისი.

თამადამ ადღეგრძელა კ. ლ—ძე, რომელმაც, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ დაამთავრა კურსი, და უსურვა, რომ განეხორციელებინოს ცხოვრებაში ის იდეალები, რომელიც შეუძენია უნივერსიტეტში ყოფნის დროს და ამით გაემართლებინოს ამხანაგობის იმედები. სადღეგრძელოს შემდეგ ჩამოვარდა ბაასი შესახებ ჩვენის, ქართველების, ცხოვრებისა. ყველა თავის აზრს ამბობდა.

ვერ წარმოიდგენთ, შორეულ ქვეყანაში რამდენად ძლიერია სიყვარული სამშობლოსი. ყველას მარტო მისი ინტერესები აცოცხლებს და ასულდგმულებს. მისი კეთილ-დღეობა მიაჩნია საკუთარ კეთილდღეობად. როდესაც ამას შეეხება საქმე, მაშინ ყოველი საკუთარი ინტერესი უკვე დგება და იჩრდილება. ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენია, თუ შეიძლება ჩვენის ქვეყნის საზოგადო ასპარეზზე საკუთარის ინტერესების თაყვანის ცემა. ამას იმიტომ ვფიქრობთ, რომ ჩვენს ბეჩავს სიცოცხლეს მხოლოდ თანხმობა და ერთობა შეუწყობს ხელს და მისცემს იმ ძალას, რაიცა ისე საჭიროა ქვეყნისათვის.

დასასრულ ამხანაგობამ შეჰკრიბა ხელის-მოწერით ფული შოთა რუსთაველის ძეგლის ფონდისათვის. ამ ცოტას ხანში ფული გამოგზავნილი იქნება „ივერიის“ რედაქციაში.

დილის ექვს საათზე დაიშალა ამხანაგობა, კმაყოფილი, რომ ერთად მიეგება 1894 წელს, რომელიც, ვინ იცის, რას მოიტანს, მაგრამ რომელსაც ჯერ ჩვენი იმედები არ გაუმტყუნებია.

სტუდ. ა. მუსხელი

1894 წ. 3 იანვარი.

## რუსეთი

სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა ჰქონდა რამდენიმე ღონის-ძიება ეხმარა ქვა-ნახშირის წარმოების გასაძლიერებლად. გაზ. „Новое Время“-ს სიტყვით, ჯერ-ჯერობით შემოღებული იქნება შემდეგი ღონის-ძიებანი: ა) ქალაქებს, რომელთაც ქვა-ნახშირი უჭირთ, ნება დაერთობათ გამოიწერონ იგი საზღვარ-გარეთიდგან, სადამოჟნო გარდასახადის დაბრუნებით, და ჰყიდონ დაწესებულების ნიხრით; ბ) რუსეთის შიდა-გუბერნიებიდგან მუშანი სამხრეთის ქვა-ნახშირის მადაროებში შეღავათიანის ფასით იქმნებიან გადაყვანილნი; გ) მღვიმე-მადაროებიდგან რკინის გზის სადგურამდე მისავალი გზები იქნება გაკეთებული. რკინის გზის სადგურებზედ ადგილი დაეთმობათ ქვა-ნახშირის საწყობად; დ) ადგილი მიეცემათ მუშებს დასაბინავებლად, სადაც ქვა-ნახშირზედ იმუშავებენ და ე) კანონით აღიკრძალება ქვა-ნახშირის საიდუმლოდ ამოღება და ტაცება.

—

[illegible] საქმის განმხილველმა კომისიამ დაადგინა მიანდოს სახელმწიფო ქონებათა ადგილობრივ გამგეობათ, ნება დართონ ტყის უსასყიდლოდ ხმარებისა ეკკლესიებსა, მონასტრებსა დ მართლ-მადიდებელს სასულიერო წოდებას. შეღავათიანის ფასით მიეცემა ტყის ხმარების ნება სასოფლო და სამრევლო საეკკლესიო სასწავლებლების შენობათა ასაგებად და აგრეთვე გლეხებსა და ჯარის-კაცებს, თუ დაზარალდნენ რითიმე და საკუთარი ტყე არ მოეპოვებათ. შესაძლებლად არის დანახული, რომ გლეხებს სახელმწიფო ტყიდგან მასალა მიეცეთ ნისიად ერთის წლის ვადით, ხოლო თავმდები-კი იმისი, რომ ერთს წელიწადს გადიხდის ფულს, მთელის სოფლის საზოგადოება უნდა იყოს, ან ერთი რომელიმე მისი კეთილ-საიმედო წევრი.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** აი რასა სწერს გაზ. „Figaro“ პოლ რეკლიუს შესახებ, რომელიც დამალულია და თუმცა ბევრი ეძებს ყველა სასაზღვრო ქალაქებში, მაგრამ ვერსად იპოვნეს. პოლ რეკლიუს სახლის გაჩხრეკის შემდეგ მთელს იმათს გვარეულობას ბჭობა თათბირი ჰქონდა. პოლსა ჰკითხეს, პოლიციის მიერ დაპატიმრებულ ქაღალდებში საშიში ხომ არა იყო-რა, მაგალითებრ, ვალიანის შესახებაო. იყოო, უპასუხა პოლმა. გარდასწყვიტეს, რომ დაუყონებლივ უნდა დაიმალო აქავე პარიზშიო, ხოლო მეგობრებმა-კი გაავრცელონ ხმა, ვითომ უცებ სხვაგან წახვედიო. პოლ რეკლიუ მაშინვე სა ტუმროში გადავიდა საზღვარ-გარეთიდგან მოსულ კაცის სახელით სცხოვრობდა. სასტუმროში რვა დღესა და ღამეს იმალებოდა და ისე იცვლიდა პირისახეს, რომ ძნელი საცნობი იყო. მეცხრე დღეს რეკლიუმ შენიშნა, რომ თვალს მადევნებენო და სადღაც მიიმალა, ისე რომ დღეს მეგობრებმაც-კი აღარ იციან სადაც არის. ეს საიდუმლო იმისმა მამამ და ცოლმა იციან მხოლოდ, მაგრამ იმათთანაც-კი მიწერ-მოწერა არა აქვსო.

—

**ბელგია.** ბრიუსელის უნივერსიტეტის საბჭომ გადასწყვიტა, რომ შესანიშნავს გეოგრაფს ელიზე რეკლიუს აღვუკრძალოთ ლექციების კითხვა. ამ განკარგულებამ დიდად ააღელვა სტუდენტები და ლიბერალური წრეები. ბრიუსელის «ლიბერალთა საზოგადოებამ», დეპუტატის ჟანსონის წინადადებით პროტესტი გამოაცხადა ამის გამო და განაცხადა, რომ მაგითი ხელ-ფეხს უკრავთ მეცნიერებასა და უნივერსიტეტსაო. იმასვე მიემხრნენ სხვა „საზოგადოებანიც“. ასეთის განკარგულების მოხდენას ბრალადა სდებენ უმთავრესად პროფესორს ვანდერკინდერსა და ბრიუსელის ქალაქის მოურავს ბულსს.

## გასართობი

ერთს ებრაელს ქალს ათხოვებდნენ. ყმაწვილი ქალი ა?ის გამო ძალიან დაღონებული იყო და მდუღარებას აბნევდა. მივიდა დედა და დამშვიდება დაუწყო:

— ში სულელო. რა გატირებს, მეც გავთხოვდი, თაგოამ აგრე-კი არ მიტირნია.

— ჰო, შენაო, უპასუხა ქვითინით ყმაწვილმა ქალმა. შენ მამაჩემს მისდევდი ცოლად, მე-კი სულ უცხოს უნდა გავყვეო.

**

სპარტანელს მეფესთან რაღაც დიდად საჭირო საქმე ჰქონდა და მივიდა იმის სანახავად. მეფემ შემოუთვალა, რომ ჯანზედ ვერა ვარ კარგად და მერე მოდიო.

— ასე მოახსენეთ მეფესაო, უპასუხა სპარტანელმა: რომ მე, საქიდაოდ-კი არა, სალაპარაკოდა ვარ მოსულიო.

**

ვიღაც დუხჭირისა და მახინჯის სახის კაცმა თავისი მთლიანი სურათი გადაალებინა. როდესაც სურათი მზად იყო, მხატვარს ფულს აღარ აძლევდა.

— სულერთია, ეს სურათი მაინც გამომადგებაო, უპასუხა მხატვარმა.

— რაში გამოიყენებთ ნეტა?

— მაგისი ნურა გეფიქრებათ-რა:—ჩვენს სურათს კუდს გავუკეთებ, ზედ წავაწერ, ჩაცმული მაიმუნია მეთქი და ყველა იყიდის.

### გამოსადეგი ცნობა

—

სისხლის დენის შესაწყვეტი საშუალება. სისხლის დენის შესაწყვეტად უებარი წამალია უტუსუნა *) ჭინჭარი. ამ ჭინჭარს თეთრი ყვავილი აქვს და არ იწვის. ეს ჭინჭარის ყლორტი თავიდან ასე 10—15 სანტიმენტი უნდა მოიჭრას და ყვავილებიანად ფარფორის ჯამში მოიფშვნიტოს, ან კიდევ წვრილად დაიჭრას. მოფშვნეტილი, ან წვრილად დაჭრილი ჭინჭარი უნდა გამოიწუროს და წვენი უნდა ჩაისხას სუფთა შუშაში, რომელშიაც 25 მისხალი ჩაეტევა. ეს შუშა წყალით სავსე სადუღარში უნდა ჩაიდგას და ადუღდეს; ათის წამის დუღილის შემდეგ შუშა უნდა ამოიღოს გატივდეს, პირი მაგრად მოეკრას და ბნელ ცივ ადგილში იქნას შენახული.

ამ გვარად მომზადებულისა დ შენახულის წამლის ერთის პატარა ჭიქის დალევა კმარა, რომ საშინელი სისხლის დენა შესწყვიტოს. თუ პირველმა წამლის მიღებამ არ არგო, მაშინ თხუთმეტის წამის შემდეგ კიდევ მეორედ იმდენივე წამალი უნდა დალიოს. საჭიროა სახეში იქონიოთ, რომ ჭინჭრის წვენი ერთ ხანად ბევრი არ უნდა მომზადდეს, არამედ იმდენი რაც ერთხელ ან ორჯელ დასალევად იკმარებს, რადგან ეს წამალი ყოველთვის ახალი მომზადებული სჯობია.

---

*) Глухая крапива.

## დეპეშა

10 იანვარი

**პერმი.** დღეს დაიწყო მოქმედება რუსეთში შინამრეწველობის ბანკმა, რომელიც პერმის ერობამ დაარსა 116,000 მან. თანხით. საქმეებს განაგებს ერობის მიერ ამორჩეული დირექტორი ბერნაცკი, ორი დირექტორის ამხანაგი და ათი წევრისაგან შემდგარი საბჭო.

**პეტერბურგი.** 3 იანვარს მომხდარ ტირაჟში უმთავრეს მოგებათა გარდა, 500 მ. მოგება ხვდა შემდეგს ბილეთებს 1 შინაგან სესხისას:

1: 3461, 6044, 9308, 14004, 14433, 16403, 17968,
2: 525, 2174, 4727, 10726, 11509, 19708.
3: 39, 2598, 7218, 16370,
4. 4020, 15196, 18674.
5: 2254, 2850, 5921, 6704, 7617, 8059, 12308, 14959, 17578.
6: 533, 5099, 12244, 12412.
7: 786, 1284, 15232, 15321, 17100, 17542.
8: 12937, 13380,.
9: 90, 4614, 6722, 9354, 11142, 15975, 17007, 18422.
10: 3593, 4791,.
11: 511, 2270, 2401, 4770, 8344, 9599, 15688.
12: 7804, 12209.
13: 1676, 252, 6918, 8050, 11144, 11538, 11867, 14469, 17824.
14: 732, 7875, 10674, 11131, 13685, 16100, 16143.
15: 2706, 4515, 5730, 8595, 9258, 10388, 11956.
16: 745, 2044, 5302, 7909, 8256, 9838, 14195.
17: 3087, 13569, 17377, 17966.
18: 6333, 13709, 18121.
19: 2384, 6179, 9603, 9644. 11850, 13808, 14620, 19456.
20: 17725.
21: 2057, 2258, 3174, 6282, 8021, 8582, 8995, 14166, 16319, 18862.
22: 11315.
23: 4406, 12017, 13328, 13517, 15243, 18047, 18701.
24: 6072, 6246, 8287, 12741.
25: 4822, 10280, 12448.
26: 2806, 6072, 6760, 7150, 11937, 17047, 17441, 19649.
27: 2522, 6995, 11961, 13722, 18297, 19976.
28: 5518, 6633, 8837, 13364, 17972.
29: 10461, 12234, 14670.
30: 9929, 10462, 12700, 17879, 18378.
31: 597, 4317, 7443, 8578‘ 13156, 19287.
32: 5248, 6303, 13974.
33: 1905, 2370, 5783, 6152, 6919, 7823, 14838, 16463, 17290.
34: 4173, 7597, 8398, 12670, 13369, 16999.
35: 3616, 12912, 16690, 19725.
36: 9174, 12911, 15582.
37: 14849. 15807.
38: 598, 17654.
39: 726, 1610, 3219, 9722, 10366, 12282, 13444, 14583, 19160.
40: 2051, 2004, 8420, 14024, 17121.
41: 568, 5612, 5845, 12562, 17479, 17980.
42: 4831, 7293, 8770, 11236, 12370, 13183, 15163, 16874.
43: 1994, 2172, 2438, 3334, 3881, 8029, 13054, 14686, 16501, 17170, 19765.
44: 11322, 16800.
45: 1818, 17015.
46: 6351.
47: 2397, 13833, 15340.
48: 6661, 8473, 11304, 12434, 17584.
49: 2906, 13320, 19023.
50: 2069, 2752, 4283, 7291, 10655, 11312, 12834, 13025, 14557, 14581, 17905.

ტირაჟში გაბათილებული ბილეთები.

11827, 15999, 11898, 894, 16073, 17920, 14127, 3008, 1459 2014, 6859, 11847, 9639, 8085, 5669, 15756, 6134, 13544, 8277, 12562, 13709, 7724, 17282, 18633, 12322, 14154, 18340, 5034, 1658, 17800, 8822, 245, 17671, 16526, 16675, 16993 4703, 18171, 140, 98, 13796, 19167, 12447, 19781, 14665, 3544, 2476, 15762, 13646, 5755, 19378, 5334, 17688, 17215, 16663, 16017, 9029, 2652, 128, 17511, 14830, 3292, 5936, 6588 9272, 12818, 16700, 19127, 11227, 50, 4566, 7709, 5823, 18501, 19834, 6063, 5269, 10830, 4773, 19188, 2661, 10733, 9729, 9379, 6664, 11488, 5453, 17968, 5806, 3574, 18679, 3798, 5712, 2721, 5976, 10369, 2100, 11403, 15922, 4725, 19744, 6794, 10908, 688, 1590, 2982, 15727.

## პეტერბურგის ბირჟა, 7 იანვარი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | $7_{,43}$ | $7_{,45}$ | — „ |
| ტრამოყნის კუპონები | 148¼ | 149 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 240½ |
| —მეორისა . . . . | | — „ | 225¼ |
| 4% მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — „ | — „ | 191¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . | 100¾ | — „ | — „ |
| 5%. . . . . | 98½ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 100¾ | — „ | — „ |
| 5%. . . . . . | 98½ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98¼ | „ | — „ |

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს. 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ. დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე-გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პარასკეობით და ოთხშაბათობით: საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

**ფოთიდგან გადის:**

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე.

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.


## განცხადებანი




ტფილისში ა. არისტაკოვის საფთიაქო მაღაზიაში და „კავკასიის ამხანაგობის“ საწყობში.


### „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა. .ე . . . . . | „ | 20 |
| რავდენიმ მოთხრობა მისივე. . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . . | „ | 50 |
| ქართული გრამატიკაჲ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |


### მიიღება ხელის მოწერა

1894 წლისათვის

ყოველ თვიურ ქართულ ჟურნალ

## „მოამბე“-ზედ

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| ფასი გაგზავნით კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში . . . . . . . . . . | 10 მან. | 6 მ. | 4 მ. |
| საზღვარ გარეთ . . . . . . . . . : . | 13 მან. | 7 მ. | 5 მ. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე 4 მან., 1 მაისამდე 3 მან. და 1 სექტემბრამდე— 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Моамбе“.

რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია

გამომცემელი ნიკო ნ/ოზ ლოლობერიძე

## გაფრთხილება.

დიდი მოთხოვნილება და განთქმული სახელი ჩვენგან შედგენილის:

ყვავილების ო-დე-კოლონისა,

გლიცერინის საპონისა სახეებით,

გლიცერინის პუდრისა,

ექსტრაქტისა სპარსულ იასამნის და რეზედის ყვავილებისაგან,

საუკეთესო კოლოფები და სხ.

აიძულებს ჩვენს კონკურენტებს **მოგვბაძონ** ჩვენ არა მარტო ჩვენი საქონლის ჩვენგან დარქმეულ სახელებით, თვით გარეგნულის მორთულობითაც, რომ ამით შეაცდინონ საზოგადოება და გაავრცელონ თავიანთ საქონლის გასყიდვა, რის გამოც ვსთხოვთ პატივცემულთ მონასყიდეთ, როდესაც ჩვენს საქონელს ყიდულობენ, მიაქციონ ყურადღება ჩვენს ფირმას და ქარხნის მარკას.

БРОКАРЪ и К° ВЪ МОСКВѢ 1864 г.

**ბროკარი და კ°.**

(8—2)



## „ივერია“

ამ 1894 წელსაც გამოვა ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . . | 9 „ 50„ | 5 „ . . . . | 5 „ 50„ |
| 10 „ . . . . | 8 „ 75„ | 4 „ . . . . | 4 „ 75„ |
| 9 „ . . . . | 8 „ —„ | 3 „ . . . . | 3 „ 50„ |
| 8 „ . . . . | 7 „ 25„ | 2 „ . . . . | 2 „ 75„ |
| 7 „ . . . . | 6 „ 50„ | 1 „ . . . . | 1 „ 50„ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე— 16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.



გამოვიდა და ისყიდება ყველგან

ვალ. გუნიას მიერ

შედგენილნი და გამოცემულნი

## საქართველოს კალენდარი 1894 წ.

წიგნი შეიცავს 576 გვერდს დიდის ფორმატისასას, დასურათებულია ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა ნახატებით და კავკასიონის რუკით.

ფასი 50 კაპ.

## უბის წიგნი 1894 წლისათვის

მშვენიერის ყდით, ყარანდაშით და რეზინით.

ფასი 40 კაპ.

## საოჯახო კედლის კალენდარი 1894 წ.

მშვენივრად დასურათებულს კარდონზე, ორ კრასკიდ დასტამბული, უქმეების და ამინდების აღნიშვნით.

ფასი 20 კაპ.

## სახალხო კალენდარი 1894 წლისათვის

შეიცავს 64 გვერდს მცირე ზომისას, მრავალ საჭირო ცნობებით და ორის სურათით

ფასი 5 კაპ.

ზემოდ ხსენებული წიგნები ისყიდება ქ. ტფილისში „წერა-კითხვის გამავრცელებელ ამხანაგობის“ და ხიდეკელის წიგნის მაღაზიებში. ქუთაისში ძმ. წერეთელთან, ძმ. ჭილაძესთან, ბეჟანიშვილთან და ხეთერელთან, ბათუმში კალანდაძესთან, ხონში წერეთელთან, ფოთში ტუღუშთან, სენაკში და ოზურგეთში თავართქილაძესთან და სხვაგანაც.

უმთავრესი საწყობი გამომცემელთან, ტფილისი, ფრეილინის ქუჩა № 7.



ახლად მოგონილი მაშინა „სლავა“ (დიდება), რომელიც უბრალ საწვავ ნავთით მოჰყავთ მოძრაობაში.

## ტურბინები

წყალის ამოსაყვანად, ჩარხს გაცილეს. ბით სჯობია და 2-დგან 200-მდე ცხენის ძალა აქვ

В. Б. Жуковскій Іетербургъ
0 1,С рота,1 6..